მე-4 კლასის წლიური სადიაგნოსტიკო ტესტი

თუ $480 : x = 30$, მაშინ $x =$

ა) $480 : 30$ ბ) $480 \cdot 30$ გ) $480 - 30$ დ) $480 + 30$

დააკვირდი ნახაზს:



შემოხაზე მოსაზღვრე წახნაგების წყვილი.

ა) ABD, ECK ბ) EKD, CBK

გ) ABC, BDA დ) ADE, ECK

ჩაფიქრებული რიცხვი ჯერ გაადიდეს 12-ით, შემდეგ შეამცირეს **4**-ჯერ. შედეგად მიიღეს 16 . რა რიცხვი ჩაუფიქრებიათ?

ა) 8 ბ) 16 გ) 52 დ) 76

ერთი დეტალის დასამზადებლად 12 კგ ლითონია საჭირო, რამდენი ასეთი დეტალი დამზადდება 712 კგ ლითონისაგან?

ა) 55 ბ) 59 გ) 60 დ) 63

LIVEWORKSHEETS

დააკვირდი სურათს:



რამდენი წიბოს საერთო წერტილია M წერტილი?

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში:

სწორია თუ არა, რომ ცხრილში მოცემულია ასეთი შესაბამისობა:
რიცხვს შეესაბამეს განახევრებული რაოდენობა?

10	5
70	35
120	60
160	80
200	100
220	110

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში:

შეავსე ქვეშმიწერით გამოკლებაში ცარიელი უჯრები:

$$\begin{array}{r} 7\ 3\ 3 \\ -\ \square\square\square \\ \hline 2\ 5\ 4 \end{array}$$

LIVEWORKSHEETS

მაღაზიას აქვს აქცია – 2 ცალი ნაყინის ყიდვისას მყიდველს ერთს ჩუქნიან. ნინომ მაღაზიიდან წამოიღო 9 ნაყინი. რამდენი ნაყინი იყიდა მან?

პასუხი

კაფეში ყოველ მაგიდასთან **8** სკამი დგას, სულ კაფეში **96** სკამია. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გამოსახულებით შეიძლება გამოვთვალოთ კაფეში მაგიდების რაოდენობა?

ა) $8 \cdot 96 = \square$

ბ) $96 - \square = 8$

გ) $8 + \square = 96$

დ) $96 : 8 = \square$

რა რიცხვი უნდა ეწეროს ცარიელ უჯრაში?

$123 \cdot \square = 123000$

ა) 10 ბ) 100 გ) 123 დ) 1000

მჭედელს მხოლოდ **22** ნალი აქვს. თითო ცხენისთვის ოთხი ნალია საჭირო. რამდენი ცხენის დაჭედვა შეუძლია მჭედელს თავისი ნალებით? რამდენი ნალი მორჩება მას?

ა) 2 ცხენი და 5 ნალი

ბ) 3 ცხენი და 7 ნალი

გ) 5 ცხენი და 2 ნალი

დ) 5 ცხენი და 3 ნალი

სანდრომ ალბომში უნდა განათავსოს 75 ფოტო. ალბომის ყოველ გვერდზე ეტევა 7 ფოტო. რამდენ გვერდს გამოიყენებს იგი?

ა) 11 ბ) 10 გ) 7 დ) 5

LIVEWORKSHEETS

ნელიმ 84 ყვავილით ერთნაირი თაიგულები გააკეთა. თითეულ თაიგულში 7 ყვავილია. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გამოსახულებით შეიძლება გამოვთვალოთ თაიგულების რაოდენობა?

ა) 8 4 • 7 = ☐ გ) 7 + ☐ = 84

ბ) 84 - ☐ = 7 დ) 84 : 7 = ☐

ჩამოთვლილთაგან რომელ შუალედშია 849 – 285 სხვაობა?

ა) 600 -დან 700-მდე ბ) 500-დან 600-მდე

გ) 400-დან 500-მდე დ) 300-დან 400-მდე

გამოთვალე და შემოხაზე პასუხი. 5604 – 2308 =

ა) 3206 ბ) 3296 გ) 3304 დ) 3396

გამოთვალე და პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში: 26576 + 324 = ☐

სურათზე წარმოდგენილია სამკუთხა პრიზმა:



მოსაზღვრე წახნაგების რამდენი წყვილი აქვს მას?

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში: ☐

LIVEWORKSHEETS

ქვემოთ სურათზე გამოსახულია “ რიცხვების მანქანა ":

მასში ჩააგდებენ რიცხვს, მანქანა ამ რიცხვს შეცვლის მასზე დაწერილი წესის მიხედვით და სხვა რიცხვს გამოაგდებს.

რა რიცხვი უნდა ჩავაგდოთ "რიცხვების მანქანაში", რომ მან დაგვიბრუნოს რიცხვი **400** ?

ა) 100 ბ) 900 გ) 700 დ) 1200

---

135 კილოგრამი მანდარინი მთლიანად გადაანაწილეს ყუთებში. თითოეულში ჩაეტია 7 კილოგრამი, ხოლო ბოლო ყუთი ნაწილობრივ შეივსო. გაარკვიე, რამდენი ყუთი შეივსო სრულად და რამდენი კილოგრამი მანდარინია ბოლო ყუთში.

პასუხი:

რიცხვებს: 18, 2 და 25 შეუსაბამე 3-ზე გაყოფის შედეგად მიღებული ნაშთი და გამოსახე სქემის საშუალებით:



LIVEWORKSHEETS

მოცემულია სამი შესაბამისობა:

I. ნათიას მუსიკა აქვს ორშაბათს და ხუთშაბათს, ხატვა კი - სამშაბათს და პარასკევს.

II. ნათიას გაკვეთილების ცხრილში მუსიკა, ხატვა და სპორტი ასეა განაწილებული:

ორშაბათი	მუსიკა
სამშაბათი	ხატვა
ოთხშაბათი	მუსიკა
ხუთშაბათი	ხატვა
პარასკევი	მუსიკა

III. ნათიას დღიურში საგნები ასე აქვს ჩანიშნული: მუსიკა და ხატვა ასე გამოიყურება სქემაზე:



რომელი შესაბამისობებია ერთი და იგივე? შემოხაზე სწორი პასუხი.

ა) I და II ; ბ) II და III ; გ) I და III ; დ) სამივე.

მოცემულია ტოლობა: $248 : x = 62$

რომელია სწორი?

ა) $x = 248 - 62$

ბ) $x = 248 \cdot 62$

გ) $x = 248 : 62$

დ) $x = 248 + 62$

LIVEWORKSHEETS

ნათიამ ნახატი ხის ჩარჩოში ჩასვა.

რომელი გამოსახულებით შეგვიძლია გამოვთვალოთ ამ ჩარჩოს სიგრძე:



ა) 45 სმ + 70 სმ

ბ) 45 სმ · 2 + 70 სმ

გ) 45 სმ + 70 სმ · 2

დ) 45 სმ + 70 სმ + 45 სმ + 70 სმ

ლიამ მაგიდაზე დაალაგა სხვადასხვა ფიგურები:



ა) ბ) გ) დ)

მესამე ფიგურასთან რომელი ფიგურის მიდგმით მიიღება ოთხკუთხედი?



ა) II ბ) I გ) IV დ) არცერთი

LIVEWORKSHEETS

შეადარე ფიგურები ერთმანეთს:



შემოხაზე ჭეშმარიტი შემდეგთაგან:

ა) ყველა ფიგურა პრიზმაა;

ბ) ზოგიერთი ფიგურა პრიზმაა;

გ) ყველა ფიგურა კონუსია;

დ) არცერთი ფიგურა არაა პრიზმა.

LIVEWORKSHEETS